წარმოგიდგენთ ტესტის რამდენიმე ნიმუშს, ოლიმპიადაზე დაგხვდებათ 35-40 საკითხი.

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბას იგავ-არაკი ,,აქლემი და ვირი“ და უპასუხეთ კითხვებს:

ერთი აქლემი და ერთი ვირი, ტვირთის ზიდვით რომ ზურგი ჰქონდათ გადატყავებული, დაძმობილდნენ და თავიანთ პატრონს გაეპარნენ. კარგი საძოვარი იპოვეს და კარგადაც გასუქდნენ. დაავიწყდათ ადრინდელი სიმჭლევე და გადატყავებული ზურგები.

–ძმაო, სიმღერა მინდაო,–უთხრა ვირმა აქლემს.

აქლემმა დაუშალა:

–ნუ, ძმაო! აღრ გახსოვს, რა ჭირში ვიყავითო? ვაითუ ახლომახლო ადამიანები იყვნენ, წაგვასხან და უარესი გვიყონო.

არ დაიჯერა ვირმა და დაიყროყინა. ძალიან ხმამაღალი სიმღერა გამოუვიდა. თურმე იქვე ახლოს მოგზაურები ისვენებდნენ, აქლემები და ვირები დასცვივნოდათ. გაიგონეს ვირის ყროყინი და გაიხარეს:

– მივიდეთ და ვნახოთ, ან შენობა იქნება, ან ქარავანი, ეგებ ულაყი ვიშოვოთო.

მივიდნენ და ნახეს უპატრონოდ გაშვებული მსუქანი აქლემი და ვირი. წაიყვანეს და ორივეს მძიმე ტვირთი აჰკიდეს. გზა გაგრძელდა, ვირი დამძიმდა და დადგა. მგზავრებმა ასწიეს ვირი და თავის ტვირთიანად მის ძმობილ აქლემს დაადეს. ცოტა ხნის შემდეგ ერთ ვიწრო გზაზე გავიდნენ, რომელიც კლდის ციცაბო ნაპირს მიუყვებოდა. აქლემმა ვირს უთხრა:

–ძმაო, მინდა დავროკდე და სამაია ვიცეკვოო.

ვირმა მიუგო:

–რა სამაიას საცეკვაო ადგილი აქ არისო?

აქლემმა უპასუხა:

იმისთანა სიმღერას ამისთანა ადგილას ცეკვა უნდაო.

ჩაიმუხლა გაბრაზებულმა აქლემმა და ვირი კლდეზე გადააგდო.

1. რამ დაავიწყა აქლემსა და ვირს თავიანთი ,, სიმჭლევე და გადატყავებული ზურგები“?
   ა. შიშმა ბ. კეთილდრეობამ გ. მუქარამ
2. რატომ არ უნდა ემღერა ვირს?
   ა. აქლემს არ მოსწონდა მისი ნამღერი.
   ბ. მონადირეებს ჩასძინებოდათ და გააღვიძებდა.
   გ. თუ იმღერებდა, ადამიანები ადვილად მიაგნებდნენ და თავისუფლებას დაკარგავდნენ.

3. იგავ–არაკში გამოყვანილი ცხოველები ხშირად ადამიანის ამა თუ იმ თვისებას განასახიერებენ ხოლმე. ვის განასახიერებს ვირი?
   ა. გონებამახვილ და მადლიერ ადამიანს.
   ბ. მადლიერ ადამიანს.
   გ. უმადურ და უგუნურ ადამიანს.
4. როგორია ავტორის დამოკიდებულება ვირის მიმართ?
   ა. სულხან-საბა დასცინის ცხოველს.
   ბ. სულხან-საბა კიცხავს იმ უარყოფით თვისებებს, რაც ვირის პერსონაჟს აქვს.
   გ. სულხან-საბას მოსწონს თვისებები, რაც ვირის პერსონაჟს აქვს.
5. რომელი ანდაზა შეესაბამება ვირის საქციელს?
   ა. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
   ბ. მოყვარეს პირში უძრახე, მტერს_პირსუკანაო.
   გ. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.
6. რა არის იგავის მთავარი სათქმელი?
   ა. ცხოველებზე ზრუნვა ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა.
   ბ. ცხოველები ხშირად არ ინდობენ ერთმანეთს.
   გ. უგუნური ადამიანი სხვასაც დაღუპავს და საკუთარ თავსაც.

შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:
შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვების სინონიმები:

7. ,, მართალია, ცოტა <u>ზანტი</u> იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა?“
   ა. ბეჯითი ბ. ნელი გ. გამრჯე
8. ,,ლუარსაბს <u>იამა</u>. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.“
   ა. ესიამოვნა ბ. ეწყინა გ. გაბრაზდა
9. ,, ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი <u>ერთგულმა</u> ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს.“
   ა. ორგული ბ. სანდო გ. ბოროტი
10. ,, — გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, — იტყოდა ხოლმე <u>ბრძენი</u> თავადი.“
    ა. უგუნური ბ. გონიერი გ. გაბრაზებული
11. ,, დაიკრავდა მუცელზედ ხელსა და იტყოდა რაღაც <u>ტრაბახობითა</u>: „მე უსწავლელი ვარ.“
    ა. სიცილით ბ. სიბრაზით გ. კვეხნით

შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:

12. ,, დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.“
    ა. ხეირიანად ბ. ურიგოდ გ. ძლიერად
13. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, დიაღ, კიდევ იტყოდა, — „ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია“.
    ა. გატრუნული ბ. გაოცებული გ. დაპურებული
14. შეარჩიეთ ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი:
    ,, რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, — მეტად თუ ნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა.“
    ა. მშვენიერი ბ. საამაყო გ. კურთხეული

ბონუს სავარჯიშო. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

15. ,,აბუჩად აგდება“ ანუ
    ა. დამცირება ბ. გამხიარულება გ. აღელვება
16. ,,ადამის ჟამის“ ანუ
    ა. ცინცხალი ბ. ძველის-ძველი გ. საჩუქარი
17. ,,ავ თვალს არ ენახვება“ ანუ
    ა. მოსწონს ბ. დამალულია გ. მშვენიერია
18. ,,აზრზე არ არის“ ანუ
    ა. საუცხოოა ბ. შეწუხებულია გ. არ იცის
19. ,,აინუნშიც არ მოსდის“ ანუ
    ა. ემალება ბ. კარგი მიზანი აქვს გ. არაფრად აგდებს